საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახბლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 564 ოთხშაბათი, სექტემბრის 5 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ-თა სარევ. პარტიის

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი

იწვევს ქალაქ ზუგდიდში კვირას, ამა წლის სექტემბრის 9-ს პარტიულ

სამაზრო კონფერენციას

დღის წესრიგი:

1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის ანგარიში.
3) მოხსენებანი ადგილებიდან.
4) მიმდინარე საკითხები.
5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის.

ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს. მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან 20 წევრზე თითო დელეგატს. დელეგატს ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

დღიური

— იტალეთისა და საბერძნეთის კონფლიქტი ღრმავდება. იტალეთმა დაიკავა კიდევ ორი კუნძული.

— გერმანეთის პრესის ცნობით ინგლისი უკმაყოფილოა იტალეთის მოქმედებით.

— საფრანგეთის მემარჯვენე პრესა არ იწუნებს იტალეთის მთავრობის ნაბიჯებს.

— ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა რამდენიმე ხნით გადასდოს იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვა.

— იაპონიაში ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო უკიდურეს მილიტარისტს ადმირალ იამონოტოს.

— იაპონიაში 1 სექტემბერს მოხდა უჩვეულო მიწის ძვრა. ზარალი და მსხვერპლი უსაზღვროა.

— შტრეზემანმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიური ურთიერთობის გარეშე გაძლება შეუძლებელიაო.

გაზეთი „ტრიბუნა"

ენკენისთვის 1-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	3.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	4 000.000 „
ცალკე ნომერი	150.000 „

კონფლიქტის გაღრმავება.

იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი ღრმავდება. იტალეთის სამხედრო ძალა უკვე ამუშავდა. გარდა კუნძული კორფუსა იტალეთმა დაიკავა კუნძულები პაკოსოსი და ანტიპაქსოსი.

საფრანგეთის პრესის ცნობის მიხედვით კუნძულ კორფუს დაჭერის შემდეგ იტალეთის ელჩმა საბერძნეთის მთავრობას გადასცა ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვს ყველა მოთხოვნილების შესრულებას ხუთი საათის განმავლობაში.

იტალეთი თანდათან აფართოვებს თავის მოქმედებას. მისი გეგმა უეჭველად დიდია. იგი შეიცავს ჰეგემონობის მოპოვებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ და თავის გავლენის სფეროში ხმელთაშუაზღვის შეტანას. ამიტომ ესოდენი სისწრაფით ახდენს თავის მსვლელობას და ულტიმატუმებს „ხუთი საათის" ვადით უდგენს მოწინაალმდეგეს.

ჰაეროპლანები საბერძნეთის სანაპიროებს დაფრენენ თავს. მუსოლინი არ წავა არავითარ დათმობაზედ, როგორც ამას აღნიშნავს იტალეთის ფაშისტური პრესა. ამავე პრესის აზრით სოციალისტების გამოსვლას შექმნილი კონფლიქტის ირგვლივ არ დაუშვებს იტალეთის მთავრობა.

იტალეთში საომარი „გამოცოცხლებაა". სწარმოებს მზადება ომისათვის, რომელიც ფაქტიურად უკვე დაწყებულია.

ცხადია შექმნილ კონფლიქტში ევროპის სხვა სახელმწიფონი ვერ იქნებიან მეთვალყურის როლში. ინგლისის ბატონობას ზღვაზედ ერთგვარ საფრთხეს მაინც უმზადებს ისეთი სტატეგიული კუნძულის იტალეთის მიერ დაპყრობა, როგორიც არის კორფუ. აშკარაა ხმელთაშუა ზღვაზედ იტალეთს ბატონობას ადვილად არავინ დაუთმობს. ამიტომ არის რომ ინგლისი უნდა გამოვიდეს ამ კონფლიქტში ამა თუ იმ სახით.

რამდენათაც ინგლისის ინტერესის წინაალმდეგ არის დღეს ობიექტიურად მიმართული იტალეთის პოლიტიკა, იმდენათ საფრანგეთის მემარჯვენე პრესა პოლიტიკური მესვეურნი არ იწუნებენ იტალეთის თავხედობას.

ცხადია, რომ მცირე მაშტაბით ვერ შემოიფარგლება უკვე საკმაოდ გაზრდილი ინციდენტი. იგი გადალახავს უშუალოდ დაპირისპირებულ სახელმწიფოთა ფარგლებს და თუ ახალი ბალკანის ომის წინაშე არ დავდგებით, რაც არც ისე მოულოდნელია, ყოველ შემთხვევაში იგი მიიღებს ისეთ ხასიათს, რომ პოლიტიკურ ჰიდილს შექმნის ევროპის სახელმწიფოთა შორის.

გერმანეთის პრესის აზრით ინგლისი უკვე აღელვებულია იტალეთის მოქმედებით და იგი გაგზავნის ესკადრას კორფუში თუ მუსოლინი არ დაემორჩილება „ერთა ლიგის" ავტორიტეტს.

უნდა ვიფიქროთ, რომ იტალეთის მსვლელობას ვერ შეაჩერებს ინგლისის მოსალოდნელი მუქარა. იტალეთი წინასწარ გარკვეული გეგმით მოქმედებს. მას სამხედრო თადარიგი მიღებული აქვს და ურყევად ცდილობს მიზნების მიღწევას.

ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა რთულდება. ახალი ომი, ახალი ავანტიურები და ახალი სასაკლაო კვლავ თვალ წინ უდგას კაცობრიობას. როგორადაც არ უნდა გადაწყდეს იმპერიალისტების მიერ დღევანდელი კონფლიქტი, როგორი გამოსავალიც არ უნდა იქნეს მონახული ერთი მაინც აშკარა და ცხადია—ომის შესაძლეობა მანამ არ იქნება მოხსნილი, სანამ იმპერიალისტთა ბატონობას არ მოხსნის მუშათა კლასი. დღევანდელი კრიზისები, ავანტიურები და კონფლიქტები თანდათან აღრმავებს სოციალურ უთანხმოებას, რასაც მოსპობს მხოლოდ გამარჯვებული მშრომელი ხალხი.

ქრონიკა

სრულიად საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის ყრილობის „ბიულეტენი" № 9 ეხება „ნაციონალურ საკითხს" და სწერს:

„ნაციონალურმა საკითხმა, რომელიც დასმული იყო სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობის დღის წესრიგში, გამოიწვია გაცხარებული კამათი, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო.

მაგრამ თითქმის არც ერთი ორატორი არ გამოსულა ამ საკითხის გამო რუსეთის კომპარტიის მე-12-ე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციის წინაალმდეგ.

ორატორები მხოლოდ მოითხოვდენ ამ დადგენილებების სასწრაფოდ გატარებას ცხოვრებაში".

„ბიულეტენი" აღნიშნავს ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობას და განაგრძობს:

„ასეთია ბურჟუაზიული წესწყობილების ბუნება.

ნაციონალური საკითხის სისწორით გადაჭრა არ ძალუძს დემოკრატიულ ხელისუფლებასაც იმდენად, რამდენადაც ეს ხელისუფლება მერყეობს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, რამდენად ის ცდილობს ერთსა და იმავე დროს დაიცვას, ერთის მხრივ ინტერესები პროლეტარიატის, რომელიც მიისწრაფვის მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელთა კავშირისა და სოლიდარობისაკენ და, მეორე მხრით, ბურჟუაზიის, რომელიც ეძიებს ახალ ბაზრებს და ცდილობს მეორე ერის ბურჟუაზიის ჩაღშობას.

ნაციონალური საკითხის სისწორით გადაჭრა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლებას, რომელსაც არ აინტერესებს ახალი ბაზრები, სხვა ქვეყნის ადგილების ხელში ჩაგდება, რომელსაც ფეტიშად არ გაუხდია სახელმწიფო საზღვრები და რომელიც თავის წითელ დროშებზე ატარებს ყველა მშრომელთა ძმობისა და თანასწორობის დიად იდეას. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ რუსეთში.

და ამიტომ რა გასაკვირველია ის, რომ სრულიად—საქართველოს ყრილობა სავსებით იწონებს რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12-ე ყრილობის დადგენილებებს ამ საკითხის შესახებ.

ორატორები მიუთითებდენ მხოლოდ ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარების დაგვიანებაზე და ზოგიერთ ადგილებში საბოტაჟზედაც.

მაგრამ ამ ამხანაგებს ავიწყდება, რომ ასე ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება მე-12-ე ყრილობის დადგენილებათა განხორციელება.

ამისათვის საჭიროა სერიოზული სამზადისი, მუშაობა, რათა ამ დადგენილებების განხორციელება მოხდეს უნაკლოთ და საუკუნოებით ჩაგრულმა ერმა მიიღოს დაკმაყოფილება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

ხოლო თუ სადმე ადგილი აქვს საბოტაჟს, ცხადია, მას უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარი ძალღონით და ავლაგმოთ ასეთი ადმინისტრატორები დაურიდებლად.

და ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით აიღო სავსებით სწორი ხაზი.

და ბოლოს, მე-12-ე ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება სავსებით ჩვენზეა დამოკიდებული.

ვბრუნდებით რა საბჭოთა წიაღში, ვდგებით რა პროლეტარიატის პლატფორმაზე და გადმოვდივართ რა ბარიკადების იქითა მხარიდან პროლეტარიატის ერთიან ოჯახში, ჩვენ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში და ყოველივე ძალ-ღონით ხელი უნდა შევუწყოთ რ. კ. პ. მე-12-ე ყრილობის დადგენილებათა განხორციელებას."

ნაციონალურმა საკითხმა აღნიშნულ ყრილობაზედ დიდი ყურადღება მიიპყრო. დელეგატების უმრავლესობა მოითხოვდენ მეტ სიფრთხილეს ნაციონალური პოლიტიკის სფეროში და მე-12-ე ყრილობის დადგენილების სასწრაფოდ გატარებას. ორატორები ჩვენთვის საკმაოდ ახლოს მყოფ ლოზუნგებით ასრულებდენ თავიანთ სიტყვებს. მათი ამოძახილი იყო—გაუმარჯოს სოციალიზმს და ერთა განთავისუფლებასო.

მართალია ადგილი ქონდა ზოგის მიერ გადაჭარბებას, ზოგი მენშევიკური „ცეკას" დავალებებსაც ასრულებდა, ზოგი მეორე უკიდურესობაში გადადიოდა და ყოველივე იდეალურად წარმოედგინა, მაგრამ საერთოდ ყრილობას ახასიათებდა საღი ნაციონალური შეგნება. აქ აღარ სჩანდა ძველი სოციალ-დემოკრატიული ნიჰილიზმი და კოსმოპოლიტური სულისკვეთება. გამოფხიზლებული მუშათა კლასი საღ თვალსაზრის უახლოვდება, როგორც სოციალური ისე ნაციონალურ საკითხში.

მუშათა საერთო ფრონტი და მოსალოდნელი ომი

მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის ეტაპები დასავლეთ ევროპის კონტინენტზე და ცენტრალურ სახელმწიფოთა რესპუბლიკებში თან და თან ფართო და აქტიურ გამოსვლებით ისაზღვრება. კაპიტალისტური მეურნეობა და მისი ბურჟუაზიული იდეოლოგია ვერ ეგუება მუშათა მოძრაობის განვითარებას და ამ ბრძოლის ჰიდილში ეს ორი მოპირდაპირე კლასი ირაზმება თავის კლასობრივ ინტერესთა ბატონობისათვის.

მკითხველმა საზოგადოებამ გაზ. „ტრიბუნის" ფურცლებიდან იცის უკანასკნელი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ერთის მხრივ გაფიცვების დაწყებით სხვა და სხვა ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ ფაშისტური დარაზმვის და განაგრების გარშემო. პოლონეთის დედა ქალაქში ვარშავაში საამშენებლო მუშათა გაფიცვაა, რომელიც უკვე ოთხი კვირაა გრძელდება: გერმანიის პროლეტარიატის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის და მის განყოფილებათა ბრძოლა საყოველთაო გაფიცვების მოსაწყობად, რომლის შედეგიც იყო კუნოს მთავრობის გადაყენება და შტრეზემანის ახალ კაბინეტის რეპრესიები ამ მოძრაობის ჩასაკლავად; პორტუგალიაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება; ჩეხო-სლოვაკიაში მეზღვაურთა გაფიცვა და საბერძნეთის პროფკავშირთა მოძრაობის გაფართოვება მისი ეკონომიური კრიზისის გამო,—ყველა ეს მოწმობს კაპიტალისტურ ევროპის წონასწორობის დაკარგვას ეკონომიკის და სახელმწიფოს სისტემის გარდასაქმნელად.

ეკონომიური კრიზისები იწვევენ გართულებას პოლიტიკურ სფეროშიაც და როგორც დეპეშები გადმოგვცემენ არსებულ სახელმწიფოებში ესა თუ ის პოლიტიკური პარტიები თავის შინაგანი ორგანიზაციული მუშაობით ირაზმებიან: თუ ერთის მხრივ სდგას მუშათა კლასის მობაირახტრე პარტიები—მეორე მხრივ სდგას რეაქციონური ფაშისტური ზრდა, რომელიც უპირდაპირდება რევოლიუციონურ პროლეტარიატს. ფაშიზმი ახალ და ახალ ფაზასს ჰქმნის სხვა და სხვა სახელმწიფოში თავის ბურჟუაზიულ კლასის დიქტატურისათვის. ახალი ფაშისტური ორგანიზაციის შექმნა შვეიცარიაში, რუმინეთში მოსალოდნელი ფაშისტური გადატრიალება, ბულგარეთში კომპარტიის კრიზისი, გერმანიის, პოლონეთის და იტალიის ფაშიზმი—ეს ის რეაქციის სახეებია, რომელიც აპირობს მსოფლიო მუშათა კლასის—რევოლიუციონურ ბრძოლის შესუსტებას, მის მატერიალურ და რევოლიუციონურ ძალის ჩაკვლას.

ეს კატასტროფული ძალთა ჰიდილი იწვევს ბუნებრივად როგორც კომინტერნის ისე ამსტერდამის სოციალისტურ პარტიათა დარაზმვას ამ ფაშიზმის წინაალმდეგ, მაგრამ ცალკ-ცალკე ბრძოლა ამ ორ ინტერნაციონალის, ისედაც დაქსაქსულს, უფრო ასუსტებს მებრძოლთა რიგებს. საჭიროა მუშათა-კლასის საერთო ფრონტის შექმნა ამ გარდამავალ პერიოდში და აქეთ მოუწოდებს კომინტერნი მეორე ინტერნაციონალს.

არის მეორე გარემოება, რომელიც შეტორტმანებულ ევროპას ისე დააფიქრებს. თანამედროვე საბერძნეთი და იტალია ომის მოლოდინში არიან და ამის მიზეზი ეკონომიური ქიშპობაა. მათ შორის იტალია კარგა ხანია სცდილობს ხმელთა შუა ზღვა თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს, რასაც კიდეც მიაღწია კუნძულ დოდეკანეზის, როდოსის და სხვა პატარა კუნძულების ხელში ჩაგდებით ლოზანის კონფერენციის ძალით. ეს კი შეურაცყოფაა საბერძნეთისათვის, ვინაიდან ამ კუნძულების გადაცემას მას უპირებდნენ. არა ერთი კონფლიქტები იყო ამ ორ სახელმწიფოთა შორის, მაგრამ მათ შეთანხმებას ახერხებდნენ.

აგვისტოს 29 იტალიის სამხედრო დელეგაციის 5 წევრი იყო მოკლული საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე. იტალიის წარმომადგენელმა მონტანომ ათინაში საბერძნეთის მთავრობას ულტიმატუმი ჩააბარა დაუყოვნებლივ მკვლელობის გამოსაძიებლად და სხვა. ამას მოყვა იტალიის სამხედრო ფლოტის და ჯარების შეგროვება სამხრეთით საბერძნეთის საზღვარზე. ყველა ეს ართულებს ისედაც გართულებულ საქმეებს ევროპაში და მოსალოდნელი ომი უფრო მწვავე ხასიათის იქნება, ვიდრე 1914 წ. ბალკანეთის ფედერაციის სახელმწიფონი ომის რგოლში მოქცევით შექმნიან პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალთა დაპირისპირების კვანძს, გარეშე სახელმწიფონი თვის ინტერესთა კოალიციას და ევროპის ტერიტორია გარდაიქცევა ომის სარბიელად. რასაკვირველია ფაშისტური მთავრობა

მუსოლინის სისხლის რეაქციას ეგუება, მაგრამ მუშათა კლასი მოვალეა თავის საერთო მუშათა ფრონტის შექმნით შეაჩეროს ეს კატასტროფული ბურჟუაზიის და ფაშიზმის ინერციული ზრდა. ომი უფრო საშიში იქნება ნაციონალურ სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ კლასისთვის და ჩვენ ვფიქრობთ ეს მხოლოდ იარაღის ჩხარუნია, ვიდრე მისი რეალური გამოხატულება, ვინაიდგან ომით უფრო მუსოლინის ხელქვეითი კლასები წააგებენ, ვიდრე მუშათა კლასი, რომელიც ამ გართულებას თავის კლასობრივ ბრძოლის საგნად გარდააქცევს.

გრიგოლი.

რადიო-დეპეშები

ზაკროსტას ცნობები 4 სექტემბრიდან.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

იტალიასა და საბერძნეთს შორის გემების მიმოსვლა შესწყდა. კორფუს სრუტეში იტალიის წყალ-ქვეშა ნავმა დაიჭირა საბერძნეთის გემი.

იტალიის პრესსა უარყოფს ხმებს სამოისისა და კრიტოსის დაკავების შესახებ.

კორფუზედ გადასხმულია 5.000 იტალიელი. ბერძნების ჯარმა კუნძულის შუაგულისკენ დაიხია. ქალაქის პრეფექტი და 10 აფიცერი წაყვანილია ტყვედ. ბომბარდიროვკისაგან დაზარალდა 30 კაცზედ მეტი.

იტალიის პრესსა პასუხისმგებლად სთვლის საბერძნეთის მთავრობას მისიის წევრების მკვლელობისათვის. ტარანტოს ნავთსადგურში მყოფმა გემებმა ბრძანება მიიღეს მზად იყვნენ საბერძნეთის წინააღმდეგ წასასვლელად.

იტალიის ოფიციოზი „ტრიბუნა“ სწერს, რომ იტალია სამხედრო ოკუპაციასთან ერთად კორფუს სამოქალაქო მმართველობასაც აიღებს ხელში და პირველ რიგში საბაჟოების გამგებლობას.

ერთა ლიგის საჭომ დაადგინა რამოდენიმე ხნით გადასდოს იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვა, იმ იმედით, რომ ორივე მხარე ამ დროს თავს შეიკავებს საქმის გართულებისაგან.

ნიუ-იორკის ბირჟაზედ ევროპის ვალიუტას ემჩნევა დაცემა, რასაც იტალია-საბერძნეთის კონფლიქტს აწერენ.

საკონტრიბუციო საკითხი.

ბერლინი. შტუტგარდტში შტრეზემანმა წარმოსთქვა პოლიტიკური სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიურ ურთიერთობის გარეშე არ შეიძლება გაძლება. შტრეზემანი აღნიშნავს, რომ გერმანია მზადაა წარუდგინოს ვალების გადახდით გარანტია, ხოლო ამ ჟამად გერმანიას, აღნიშნა მან, შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ ამ ვალების პროცენტები. შემდეგ ორატორი ირწმუნება, რომ გერმანიას არ შეუძლია არსებობა, თუ არ ექნება მას რური და რეინლანდი და მოუწოდებს მუშებს, მწარმოებლებს და მოხელეთ დაიცვან მისი პოლიტიკა. კაბინეთის უახლოესი ამოცანა არის შექმნას ახალი ოქროს მარკა და ძალაუფლების ავტორიტეტის შექმნა.

საფრანგეთი, თუ კი მას არა აქვს პოლიტიკური მიზანი, უნდა დაკმაყოფილდეს იმ გარანტიებით, რომელიც გერმანიამ წარუდგინა—რკინის გზები და მთელი სახალხო მეურნეობა.

გერმანიას სჭირდება მორატორიუმი და საერთაშორისო სესხი საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფელად, რომელსაც თხოულობს საფრანგეთი, გერმანია მზადაა ყოველ წამს შეკრას რეინზედ დაინტერესებულ სახელმწიფოთა კავშირი ამ საკითხის შესახებ. მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად საუკეთესო გარანტია იქნება საფრანგეთის დამეგობრება გერმანიასთან და კარგად შეიგნონ საზღვარ-გარედ, რომ რურსა და რეინს გარეშე გერმანია ვერ აღადგენს მეურნეობას.

გერმანიის ვალების რაოდენობის შესახებ შტრეზემანი აცხადებს, რომ გერმანია დასთანხმდება მიუდგომელ განაჩენს ამ საკითხზედ, მაგრამ სურს, რომ მასაც მოუსმინონ.

„ჩვენ მოვიხარეთ, მაგრამ არ გავტეხილვართ“—შტრეზემანი.

ლონდონი. პარიზში ყველა კმაყოფილი შტრეზემანის სიტყვისა. ფიქრობენ, რომ გერმანია გააუქმებს ყველა დადგენილებებს პასიური წინააღმდეგობის შესახებ და შემდეგ სთხოვს საფრანგეთს რურისა და რეინის სტატუტის განხილვას. როგორც გადმოგვცემენ პუანკარე დასთანხმდება ამ გეგმას, ხოლო იმ პირობით, რომ ევაკუაცია არ დაიწყება ვალების სრულ გადახდამდე.

ბერლინი. საფრანგეთის პრესის ნაწილი უარყოფს შტრეზემანის წინადადებას თანამშრომლობის შესახებ, რადგანაც, მათი აზრით, ეკონომიური კავშირი პოლიტიკურ კავშირს გარეშე არ შეიძლება, ხოლო უკანასკნელი კი შეუძლებელია.

ბერლინი. რეიხსტაგის მოულოდნელმა ჩარევამ დასცა დოლლარის ოფიციალური კურსი 10.300.000. ეს გარემოება გამოწვეულია საფრანგეთთან მოსალოდნელ მოლაპარაკებისა და შტრეზემანის ლონდონში გამგზავრების შესახებ ხმებით.

ბერლინი. ბირჟა შეფიქრიანებულია იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის გამო ფიქრობენ, რომ კონფლიქტი არა სასურველ გავლენას მოახდენს რეპარაციო საკითხზედ, რადგანაც საფრანგეთისაგან დახმარების მიღების იმედით, იტალია ამ საკითხში საფრანგეთის მხარეს დაიჭერს.

მუშათა მოძრაობა.

კოპენჰაგენი. (დანია). შესდგა საპროტესტო მიტინგი იმ დევნის გამო, რომელსაც აწარმოებდნენ კომუნისტების წინააღმდეგ. საფინანსო კომისიის ანგარიშების გამოქვეყნების გამო, კომუნისტების ლიდერმა ტაგერსენს სასამართლომ მიუსაჯა 200 კრონი ჯარიმა „არბეიტერ ბლადეტ“ ის სასწრაფო ნომრის სხვისა ტიპოგრაფიაში დაბეჭდვის გამო.

ლონდონი. ტრედ-უნიონების კონგრესის დელეგატები თხოულობენ უმუშევართა ტრედუნიონისათვის შემოერთებას, რადგანაც თუ გამოცხადდა გაფიცვები, მაშინ უმუშევარნი საშიში იარაღი იქნებიან მწარმოებელთა ხელში.

ტირასპოლი. რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზედ მიღებულ იქმნა რუსეთის წინადადება ადგილებზედ ორთავე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან საუწყებათაშორისო კომისიის შექმნის შესახებ საზღვარზედ მომხდარ კონფლიქტების გამოსარკვევად. შექმნილი იქნება აგრეთვე ცენტრალური პარიტეტული კომისია. 3 სექტემბერს შესდგება კონფერენციის უკანასკნელი სხდომა და ხელშეკრულებაზედაც მოაწერენ ხელს.

სტოკჰოლმი. (შვეცია). სკავენიუსის და დანიის ფინანსისტების 1919 წ. მოქმედების გამოქვეყნების გამო, შვეციის კომუნისტური გაზეთი „პოლიტიკენ“ მოითხოვს რუსეთისადმი მიმართულ ხრიკებში შვეციის კაპიტალისტების მონაწილეობის გამოქვეყნებას.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

იტალიის გემებმა დაიჭირეს კორფუს ახლოს მდებარე კუნძულები პაკსოსი და ანტიპაკსოსი.

საბერძნეთის სანაპიროებზედ განუწყვეტლივ დაფრინავენ აეროპლანები.

მუსოლინის განცხადებით იგი არ დაუშვებს სოციალისტების გამოსვლას, რომელიც ხელს შეუშლის მთავრობის მოქმედებას.

უკანასკნელ ამბების გამო იტალიის მეფემ უეცრად შესწყვიტა დასვენება და მოდის რომში.

„ფოსიშე ცეიტუნგის“ ცნობით 31 ავგისტოს ღამით ინგლისის ესკადრა გაემგზავრა კორფუზედ. თუ იტალია არ დაემორჩილება ერთა ლიგის ავტორიტეტს, ინგლისი მტკიცედ დაიცავს წესრიგს ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

იტალია წინდაწინვე ემზადებოდა. მისიის წევრთა მკვლელობის ცნობის მიღებისთანავე მოხდენილ იქმნა ფლოტის მობილიზაცია და გაიგზავნა ხმელთა შუა ზღვაში.

წინად წარმოდგენილ მოთხოვნილებათა გარდა იტალია აპირებს საბერძნეთს მოსთხოვოს აგრეთვე ოკუპაციით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება. რომლის იმედითაც იტალია კორფუზედ უკვე აწარმოებს საქონლის შესყიდვას.

დიპლომატიური ურთიერთობა იტალია-საბერძნეთს შორის ჯერ ისევ გრძელდება.

ინგლისის პრესსა ამტკიცებს, რომ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი შედის ერთა ლიგის კომპეტენციაში და იტალიამ ვერსალის, სენ-ჟერმენისა და სხვა ხელშეკრულებებზედ ხელის მოწერით ოთხჯერ გამოსთქვა თანხმობა ერთა ლიგის სტატუტის მიღებაზედ.

კონფლიქტს ერთა ლიგა განიხილავს სამშაბათს.

ათინაში იტალიის წარმომადგენელის მოთხოვნით დაიხურა გაზეთი „ელფტეროს ტიპოს“-ი, რომელმაც მოათავსა იტალიის წარმომადგენელის აზრით იტალიის შეურაცხმყოფელი წერილი. ცენზურის გამგე, რომელმაც წერილი გაუშვა, გადაყენებულია.

პასუხად იმ კრიტიკაზედ, რომელსიც აწარმოებს უცხოეთის პრესსა იტალიის მიერ მიღებულ ზომების შესახებ, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოჰყავს მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მიერ მიღებულ ზომებისა ანალოგიურ შემთხვევებში. ჩამოთვლილია შემდეგი ფაქტები: 1) ამერიკის მიერ ქალ. ვერა-კრუცის (მექსიკა) დაჭერა 1919 წ., 2) ინგლისის რეპრესიები წყნარ ოკეანეზედ 1847 წ., 3) ინგლისის მოქმედებანი ბრაზილიის წინააღმდეგ 1862 წ., 4) საფრანგეთის მიერ პირეის (საბერძნეთი) ბომბარდიროვკა 1919 წელს და სხვა.

იტალიის პრესსა კითხულობს, როგორ მოიქცეოდა ინგლისი, რომ მოეკლათ მისთვის იმავე პირობებში 5 აფიცერი. ამნაირ შემთხვევებში ინგლისის მოქმედების ცოდნა ეჭვს გარეშე აყენებს იმ აზრს, რომ ინგლისი სასწრაფოდ მიიღებდა საშინელ რეპრესიულ ზომებს.

იტალია-ესპანეთის კონფლიქტი.

ტანჯერში იტალიის საკონსულოს მცველ რაზმსა და მაროკოს ჯარსა და პოლიციას მოუხდათ შეტაკება. იტალიის ელჩმა განაცხადა პროტესტი. იტალიამ ტანჯერში გაგზავნა მე-12 კარაბინერთა პოლკი.

უცხოეთი

ლონდონი. ირლანდიაში არჩევნებში ჯერხნობით მთავრობამ მიიღო 41 ადგილი, რესპუბლიკანელებმა—28, დამოუკიდებლებმა—14 და მუშათა პარტიამ—9 ადგილი. ამორჩეული არიან ყველა მინისტრები და მუშათა პარტიის ბელადი ჯონ-სონი. ასარჩევია კიდევ 53 დეპუტატი.

ტოკიო. (იაპონია). ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო უსაზღვრო მილიტარისტს ადმირალ იამონოტოს. მისი დანიშვნა ნიშნავს საზღვაო შეიარაღების მომხრეთა გამარჯვებას ხმელეთზედ შეიარაღების მომხრეებზედ, რომლებიც ცდილობენ ჩინეთში ფეხის მომაგრებას.

უწინდელი და აწინდელი

(წარსულის და აწმყოს სურათები)

1.

გუშინ

(გაგრძელება)

⁂

ქვის ჩაბარების დღეც დადგა. კარგა ხანია თავადი გიორგი თავის „ქარხანაში“, როგორც იგი თვითონ უწოდებდა ქვისამტვრევს, არ ყოფილიყო. იცოდა რომ ნიკა დანიშნულ ვადაზე ქვას სრულად ჩააბარებდა და კლდეებზე ბობღვაკი საჭირო სულაც არ იყო. არ იცოდა გიორგიმ თუ რა ცვლილება მოხდა „ქარხანაში“, რომ გაჩნდა იქ ახალი პიროვნება ნიკასთან მომუშავე. დანიშნულ დღეს ახალ ტანისამოსში გამოწყობილი გიორგი, რომელსაც თან ბიჭი ხურჯინით ახლდა, გაემგზავრა ქარხნისაკენ. ქვა უნდა დაეთვალიერებინა და ინჟინერ „მასტერისათვის“ საუზმე გაემზადებინა. კლდესთან მისვლის უმალ დაინახა გიორგიმ უცნობი მომუშავე დაინახა იქვე სამი დიდი ლოდი საფლავის ქვებისათვის გამზადებული, გაცხარდა გიორგი: როგორ, მის ქარხანაში, მის დაუკითხავად, ასეთი ამბავი?... დაეტაკა ნიკას და მაგრა შეაგინა: „ეს რა ამბავია? ვინ არი ეს კაცი? ან აქ რა უნდა?“ შეჰყვირა და შეჰყვირა გიორგიმ ნიკას.

„ნუ ჯავრობ, შენი ჭირიმე კნიაზო, ე ქვა რაც პირობა იყო მზად გახლავს, ისე დავაწყე რომ რა ვიცი, ქვასა და ქვასშუა ბეწვი ვერ გავა.... ე კაცი თუ გახსოვს, ბატონო, წინად ჩემთან მუშაობდა ვარლამა ჰქვიან. ეხლა შინიდან დაბრუნდა და კვლავ თავის ხელობას შეუდგა, საფლავის ქვასა სთლის... მეც ცოტა გამორჩენა მაქვს, ქვას მე უჭრი“....

გიორგი თანდათან უფრო ბრაზდებოდა. უცნობი არამც თუ არ წამოხტა და ჩვეულებისამებრ კნიაზის წინაშე ქუდი არ მოიგლიჯა, არამედ ადგილიდანაც კი არ დაძრულა, მხოლოდ ერთი კი რაღაც ზიზღით შეხედა გიორგის. გიორგი მთლად აინთო, ახედ დახედა მიხას და პოლიციის მაძებარ ძაღლის ყნოსვამ აგრძნობინა, რომ აქ რაღაც სხვანაირი ამბავია. ვარლამს იცნობდა, მართალია ეს კაცი მას წააგავდა, მაგრამ გიორგის ვარლამი ახსოვდა როგორც მეტად ზრდილობიანი კაცი, დანახვისათვისათანავე ქუდს უგლეჯდა გიორგის წინაშე, თითქოს უფრო ხნიერიც და სრულიც იყო.

„ეჰეი, შენ ბრიყვო“, შეჰყვირა გიორგიმ მიხას, „ზრდილობა დაგვიწყებია, არ იცი მე ვინა ვარ?“....

—„მე რა ვიცი ვინა ხარ შე კაი კაცო!“.—ო, „ბიჭო ვარლამ, ნუ თუ არ გახსოვს ეს ხომ ჩვენი კნიაზი გიორგი ბრძანდება“. მიხა მიუხვდა თუ რა საფრთხეში ჩავარდა ძალა დაატანა თავს, წამოდგა და მიმართა გიორგის: „უკაცრავად თავადო, ვერ გიცანი, მძიმე ავადმყოფობამ მეხსიერება დამიკარგა“..

—„იქნებ ავადმყოფობამ შენი ნამდვილი ვინაობაც დაგავიწყა?“. ირონიით შეეკითხა გიორგი: „ფაშპორტი გაქვს? აბა მაჩვენე, მე უფაშპორტო კაცს ჩემს ქარხანაში არ გაუშვებ“..,

„აქვს, შენი ჭირიმე“, მიხას მაგივრად მიუგო ნიკამ: „მოართვი ვარლამ ბატონს შენი ფაშპორტი .. დალოცვილო მე კი შემოუშვებდი უფაშპორტო კაცს?“

მიხამ ამოიღო ვარლამ ვარდონიძეს ფაშპორტი და გადასცა გიორგის. გიორგიმ გადაფურცლა წიგნაკი, კარგად გადასინჯა და ვითომც ვერ გაიგო, შეეკითხა მიხას: „რომელი მაზრისა ხარ?“

„შორაპნისა“... მიუგო მიხამ. „ბიჭოს! აქ კი ქუთაისისა სწერია“, მიუთითა წიგნაკზე გიორგიმ.—„ჰო, ზედ საზღვარზე ვდგევართ და ზოგი ქუთაისის ზოგი კიდე შორაპნის მაზრაში გვთვლის“....

„ხმ, ხმ“, გუნებაში ჩაიცინა გიორგიმ და უმალ აზრმა გაუარა: „აქ გამორჩენის სუნი ტრიალებს“...

—„კარგი, ვსთქვათ ეს ასეა“, დაუწყო მან ნიკას, „მაგრამ შენ ვინ მოგცა ნება ჩემ დაუკითხავად აქ მუშა ჩააყენო და სხვა საქმე აკეთებინო. ეს ქარხანა ჩემია, მე რკინის გზის, ესეიგი სახელმწიფოს კონტრაგენტი ვარ, ფოდრაჩიკი, პასუხი ყველაფერში მე უნდა ვაგო და უჩემოდ აქ სხვა სამუშაოს აწარმოებ?“

—„შენი ჭირიმე კნიაზო, ერთი რა ჩავიდინე? რასაც შემიკვეთამ დროზე დაგიმზადებ, ქვის ბაქს მე ვიხდი, საგანგებო არჩეულ ქვას შენთვინ ვჭრი და ამ საფლავის ქვების თლით და ამ ადამიანის მუშაობით შენ რა გაკლდება?“....

„ეს კიდევ თავისას გაიძახის მაკლდება მაშ არ იცი. ჯერ ერთი საუკეთესო ქვას მაგისთვის სჭრი, მეორე კიდევ ზედმეტი მუშაობით იღლები და ჩემს სამუშაოს ისე ველარ ასრულებ. მესამეც კიდევ ისა, რომ ჩემს ქარხანაში არ მინდა და არ გაძლევ ნებას. მე თვალდ შემიძლიან ვიშოვო ოსტატი და მაგ საქმეზე დავაყენო, გამორჩენა მაინც მექნება“....

„საკვირველია“, ჩაერია ლაპარაკში მიხა: „კლდე შენი არაა, ბაჟს შენ არ იხდი, ქვას შენ არა სჭრი და გამორჩენა კი ჩემი უნდა იყოსო... რომელი კანონით და რა ანგარიშით?“...

„კანონებს თავი დავანებოთ, შორაპნის მცხოვრებელო ვარლამ ვარდონიძე“, დაცინვით უპასუხა გიორგიმ, „თორემ თუ კანონს გავყევით ბევრმა შეიძლება ვირის აბანოში ამოჰყოს თავი! შენ იცი, რომ ვადა გასულ ფაშპორტისათვის ბარაქალას არ გეტყვიან?“... დაუმატა მუქარით გიორგიმ, მიხას ყურადღება არ მიექცია და არ იცოდა რომ პაშპორტის ვადა გასული იყო, ეხლა კი დარწმუნდა, რომ ისეთ ადამიანთანა აქვს საქმე, რომლისაგან ყოველისფერია მოსალოდნელი, მეტი გზა აღარ იყო, მორიგების გზას უნდა დასდგომოდა.

„არა, მე იმაზე კი არ ვამბობ, მე რა ვიცი თქვენ შორის რა პირობებია დადებული“, მიმართა გიორგის მიხამ, „თუ მაინც და მაინც ქარხანა შენია, დაგვინიშნე თითო საფლავის ქვაზე გადასახადი და რა ვქნათ, ნათქვამია, „ძალა აღმართსა ხნავსო“, გადვიხდით.“

— „ჰო, დიახ, შენი ჭირიმე, დაუმატა ნიკამ თავის მხრით, მოგართმევთ ბატონო“...

„თითო ქვაზე ოთხი მანეთი უნდა გადაიხადოთ... მე ვაჭრობას არ ვიკადრებ, ერთი ვსთქვი და გავათავე“! ამაყად სთქვა გიორგიმ.

მიუხედავად ამისა ვაჭრობა მაინც გააბეს და ბოლოს გიორგი დასჯერდა ორ მანეთს თითო საფლავის ქვაზე.

ქვის მიღება სწორედ ისე მოხდა, როგორც იწინასწარმეტყველა ლიანდაგის ოსტატმა. ინჟინერი მეტად კმაყოფილი დარჩა მეტადრე საუზმისა. უხვად გაუმასპინძლდა გიორგი: ახალ თევზს, ტაბაკა მოჰყვა, ტაბაკას მცვრიანი სუკები და ყველა ამას თან ჰყვებოდა კარგი წითელი ღვინო და ისიც ჩაის ჭიქებით. ნასიამოვნებ და საკმაოდ გამომთვრალმა ინჟინერმა უსიტყვოდ მოაწერა ქურდიძის მიერ შედგენილ ოქმს ხელი. ქვაც ქურდიძემ გაზომა და ოქმში ათი საჟენის მაგიერ თერთმეტი უჩვენა და ნიკას და გიორგის კი გამოუცხადა: „რადგანაც ქვა კარგად ვერ არის დაწყობილი, ამიტომ ათის მაგიერ კომისია ცხრა საჟენად მიიღებსო. ბევრი იფიცა ნიკამ, მაგრამ ვერას გახდა. ქურდიძემ გადაჭრით გამოუცხადა რომ ცხრა საჟენად არის მიღებულიო. ქურდიძე ამის შესახებ წინასწარ მოელაპარაკა გიორგის და შეთანხმდნენ, რომ გიორგი ათის საჟენის მაგიერ თერთმეტი საჟენის საფასურს მიიღებს მხოლოდ ზედმეტ საჟენის ფულს ქურდიძეს გადასცემს, თავის მხრით ქურდიძე ნიკას გამოუცხადებს, რომ ცხრა საჟენად არის ქვა მიღებული და გიორგიც ამის კვალობაზე გაუსწორდება.—გიორგი რა თქმა უნდა ამ კომბინაციას სიხარულით დასთანხმდა, ზარალში დარჩნენ მხოლოდ ხაზინა და ბედშავი ნიკა. ყველა ამის მოწამე იყო მიხა და რა თქმა უნდა ამ ამბავმა ასეთ სურათებს დაჩვეულ ადამიანზედაც კი საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ღღისით აშკარად ავაზაკთა ხროვა სცარცვავდა სახელმწიფოს და საცოდავ მუშას, მაგრამ დამცველი და მხსნელი კი არსადა სჩანდა. რა ექნა მიხას? აღეძრა კანონიერი საჩივარი, გაემხილა უფროსთა წინაშე ეს საზარელი საქმე? კარგად გრძნობდა უკეთეს შემთხვევაში მისი საჩივარი უშედეგოთ დამთავრდებოდა, თანაც შესაძლებელია თვითონ საბოლოოდ დაღუპულიყო, გრძნობდა რომ მისი ბედი გიორგის ხელთაა და ეს უკანასკნელი არ დაზოგავს მას მიხას. მიხამ კიდევ არ იცოდა თუ რა გაიძვერასთან ჰქონდა საქმე. გიორგიმ რაკი ერთი იჭვი აიღო ისე არ დასტოვებდა საქმეს. იგი ესტუმრა ბოქაულს და სთხოვა შეეკითხებოდა ვარლამ ვარდონიძის სამშობლოში ადგილობრივ მართველობას, იქ იმყოფება ამ ჟამად ვარლამ ვარდონიძე თუ სადმე გასული? ბოქაულმა ისე აუხსნა, რომ ამ ოსტატის გამოწერა მინდა ჩემი ქარხნისათვისაო. ბოქაული არა ერთხელ დავალებული გიორგის მიერ, რა თქმა უნდა უარს არ ეტყოდა და მართლადაც დეპეშა გაგზავნა გიორგის მიერ ნაჩვენებ მისამართით და პასუხიც მოუვიდა, რომ ვარლამ ვარდონიძე თავის სახლში ცხოვრობს, ამ ჟამად იქ იმყოფება და არსად გასულაო. ეს სრულიად საკმარისი იყო გიორგისათვის. იგი დარწმუნდა რომ ნიკასთან მომუშავე ვარლამ ვარდონიძე არ არის, არამედ სხვა ვინმე და მას ხელში აქვს ფასპორტი ან ყალბი ან და რაიმე უკანონო გზით ნაშოვნი. ეხლა კი ნიკასთან მომუშავე სავსებით მის ხელში იყო.

პირველ მიღებას მოჰყვა მეორე, მესამე და სხვა; მუდამ ყოველ მიღების დროს მეორდებოდა საზარელი ამბავი. გიორგი და ოსტატი იქამდის გათამამდნენ, რომ ერთ საჟენს არ კმაყოფილდებოდნენ. თითო მიღებაზე ქურდიძე ორ საჟენს უმატებდა ოქმში, გიორგი კიდე ორ საჟენს უკლებდა ნიკას. მიხა ყოველთვის უხსნიდა ნიკას გიორგის ვერაგობას, მაგრამ ამაოდ, ნიკა სულ იმას გაიძახოდა: „რა ვქნა შენი ჭირიმე, კრინტი რომ დავძრა, გამაგდებს, სხვას მოიყვანს, ულუკმოდ დავრჩები, შენც კეთილი არ დაგეყრება, შენც გაგაგდებს. ხომ იცი პოლიციაც და რკინის გზაც მაგის მხარეზე არიან. ჩვენ საცოდავი მუშები ვერას გავხდებით!!!

წელიწადმა გასტანა, მოახლოვდა ახალი საჯარო ვაჭრობის დრო. გიორგი უფრო კარგ ძღვენს უმზადებდა მდივანს, უფრო ხშირად უმასპინძლდებოდა ქურდიძეს.

მაგრამ მიხამაც გადასწყვიტა ბრძოლა და მუდმივი „პროპაგანდით“ იქამდის მიიყვანა ნიკა, რომ იგიც დაიყოლია. მეტადრე, როდესაც უკანასკნელ მიღების დროს გიორგიმ სამი საჟენი დაუკლო, ნიკას მოთმინების ფიალა აივსო და გამოუცხადა მიხას: „აბა შენ დაიწყე და დედა შემერთოს ცოლად თუ არ მოგყვები“-ო.

ერთ დღეს მიხა ქალაქს გაემგზავრა, გაიგო ზედმიწევნით საჯარო ვაჭრობის წესები, ინახულა ამხანაგები, მათ რჩევა ჰკითხა, თვით სამართველოს მოსამსახურეთა შორის აღმოჩნდა ერთი პარტიული ამხანაგი და მან თავის მხრივ დარიგება მისცა. დაბრუნდა მიხა ნიკასთან და გამოუცხადა: „ფოდრათს ჩვენ თვითონ ავიღებთ. გვეყოფა ამდენი ტანჯვა და დამცირება. შენი სახელით განცხადებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვეულო მიწის ძვრა იაპონიაში

1 სექტემბერს საღამოთი იაპონიაში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. ქალ. ტოკიოს მოედვა ცეცხლი დაინგრა გზები, წყალსადენი, სასახლე, თეატრი, უნივერსიტეტი, სამინისტროები, საარტილერიო ქარხანა, თოფის წამლის საწყობი, რედაქციები და სხვა. სულ დაინგრა 20.000 შენობა. დაიღუპა 300 ათასი კაცი. ქალაქი გადაჭრილია, შესაძლებელია მარტო საზღვაო მიმოსვლა. მდინარე სუმმიტ-გავამ პირუკუმა დაიწყო დენა. გამოცხადებულია სამხედრო წესები. ჯარები უშედეგოდ ებრძვიან ცეცხლს რომელიც 200 ვერსზედ მოსჩანს. ნიადაგის ძვრა და აფეთქებანი გრძელდება. მიწის ძვრის ცენტრი არის მთა ანაკი.

ცეცხლი მოედვა და დაინგრა აგრეთვე სხვა ქალაქებიც: იოკაჰამი, ხამამატუ, ნოგოია, ოხოვანა; კოსაუ, გოტამბა და ბევრი სხვა, მატარებლები გადმოცვივდენ ლიანდაგიდან, რამაც ხალხი დიდად დააზარალა. ქუჩებში ისმის დაღუპულთა კივილი, სწარმოებს ძარცვა-გლეჯა. ქ. იოკაჰამი ნაცარმა დაფარა.

სააგენტოების ცნობით ადამიანთა მსხვერპლი 2,000,000 აღწევს. მთავრობის ბედი გამოურკვეველია, მეფე-დედოფალი, რომელნიც ტოკიოდან შორს იყოფებოდნენ გადარჩნენ. იაპონიის პრინცი ცოცხალი დარჩა.

დაზარალებულ რაიონებში სურსათის ნაკლებობაა, ეწყობა დახმარება და იგზავნება ამერიკის გემები.

ხარბინი. მიწის ძვრის გამო ხარბინის ბირჟაზედ იაპონიის ვალიუტა სწრაფად ეცემა.

მოსკოვი. გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა ს. ს. რ. პ. სახელით იაპონიის ხალხს გამოუცხადა თანაგრძნობა მომხდარ კატასტროფის გამო. ვლადივოსტოკში გაიგზავნა განკარგულება იაპონიის მოქალაქეთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მუშათა მოძრაობა

ვენა. (ავსტრია). მაკედონიის მუშათა და გლეხებისადმი მიმართულ მოწოდებაში ბულგარეთის კომპარტია აცნობებს, რომ თეთრი ტერორის გამო კომუნისტური პრესსა ჩამკვდარია. გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი“-ს 10-ჯერ უყვეს კონფისკაცია. ბურჟუაზია ადგენს საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციებს ვრანგელელების აქტიური მონაწილეობით.

მიმართვა მოუწოდებს მტკიცედ შემოკრბნენ კომპარტიის გარშემო, რათა მიაღწიონ მაკედონიის ავტონომიას.

ჰელსინგფორსი. პროფკავშირთა ცენტრალური მმართველობა მოუწოდებს შეაგროვონ შემოწირულებები დატუსაღებულ კომუნისტებისათვის იურიდიულ დახმარების აღმოსაჩენად.

სოც.-დემოკრატიული პრესა არწმუნებს მუშებს, რომ ასეთი შეწირულების ჩატარება ეწინააღმდეგება პროფკავშირის ამოცანებს.

კაბული. (ავღანისტანი) ციხიდან გამოუშვეს ცნობილი ინდიელი რევოლიუციონერი ლაი-პატრაი.

განცხადება

საქ. მემარცხ. სოც.-ფედერ. სარევოლიუციო პარტიის **ბათომის საოლქო კომიტეტი** ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 15 ივლისამდე გაცემული ძველი მანდატები ითვლება **გაუქმებულად.**

ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდენ ახალი მანდატების მისაღებათ კომიტეტის ბინაზე, მიხეილის ქუჩა № 40, საღამოს 5—6 ს-დე. **ამა წლის 10 სექტემბრამდე.** ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება ორგანიზაციის წევრობიდან.

5—2

კომიტეტის მდივანი: **ერ. სუპატაშვილი.**

ახალი ამბები

— **შკოლის გარეშე განათლების სახლი.** შკოლის გარეშე განათლების სახლი 20 სექტემბრიდან ხსნის ინსტრუქტულ სკოლას საკუთარ ბინაზე. შკოლა იქმნება სამაგალითო. მის ხელმძღვანელად მოწვეულ იქმნებიან გამოცდილი პედაგოგები, საუკეთესო თეორეტიკოსნი და პრაქტიკნი სწავლების ამერიკული მეთოდის. გაკვეთილებს დაესწრებიან შკოლებში მეცადინეობის ხელმძღვანელნი. ამ შკოლის მიზანია: შექმნა, სწავლება ცოცხალი მაგალითის ჩვენებით, გამოცდილ და დახელოვნებულ მასწავლებელთა კადრის, რაც ესოდენ საჭიროა დღეს საანბანო და პირველი საფეხურის შკოლებისათვის.

— **პროექტი ნათესავთა ერთად სამსახურის შესახებ.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი, ერთ და იმავე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ნათესავთა ერთად სამსახურის აკრძალვის შესახებ.

— **შუამდგომლობა.** შრომის სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა, საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე გორის მასწავლებლების ჯამაგირთა და ულუფით დაკმაყოფილების შესახებ.

— **გაუგებრობა.** ვინაიდგან საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოს 1923 წ. 4 აგვისტოს გამოქვეყნებულმა ცირკულიარმა № 4473, გამოიწვია გაუგებრობა და კონფლიქტები, შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა აღნიშნული ცირკულიარი არ გავრცელდეს 1923 წ. 1-ლ იანვრიდგან, რაც შეეხება ხელფასის მიცემას იმ პირთათვის, რომელიც სარგებლობენ მორიგი ან დამატებითი შვებულებით, უნდა იხელმძღვანელონ ა. კ. შრომის კომისარიატის 1923 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით.

— **კამოს სახელობის საბავშვო სახლი.** სცენის მოსაწყობად აღნიშნულ სახლში ტფ. აღმასკომმა დაუთმო ხის მასალა.

— **დახმარება სვანეთის ბავშვებს.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით ხსენებულ ბავშვთა დამხმარე კომისიას, მის შუამდგომლობის თანახმად, მიეცა 50 მილიონი მანეთი დახმარება.

— **თემების აღმასკომთა თავჯდომარეების თათბირი.** 10 სექტემბერს დანიშნულია თემების აღმასკომთა თავმჯდომარეების თათბირი.

— **საბურთალოს არხები.** ქალ. აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას გამორკვევა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, საბურთალოში მალარიასთან ბრძოლის მიზნით არხების გაწმენდისა და ახალი არხების გაყვანის შესახებ.

— **სახალხო სასამართლოს დაარსება ყარაიაზში.** ყარაიაზის აღმასკომის და მცირე პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სახ. კომისარიატის წინაშე ყარაიაზში სახალხო სასამართლოს დაარსების შესახებ.

— **შრომის დაცვის განყოფილებები.** შრომის კომისარიატის დადგენილებით ახლო ხანში მოხდება პროვინციებში შრომის დაცვის განყოფილებათა შემადგენლობის გადასინჯვა და შრომის ინსპექციების ხელ ახალი არჩევნები.

— **მოზარდთა შრომის დაცვა.** სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით დაევალა შრომის ინსპექციას გააფართოვოს თავისი მოქმედება და მიიღოს სათანადო ზომები მოზარდთა შრომის დასაცავად.

— **შვებულებათა შესახებ.** შრომის დაცვის ინსპექციას დაევალა დაათვალიეროს წარმოება-დაწესებულებები და გამოაშკარავოს თუ რამდენათ სწორეთ წარმოებს მუშა-მოსამსახურეთა საზაფხულო შვებულების მიცემა.

— **ბორჯომის მამულებისათვის.** საქართველოს საკურორტო სამართველომ აღძრა შუამდგომლობა ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა მან ნება დართოს სამართველოს საზღვარ გარეთ ბორჯომის წყლის ქარხნებისთვის მანქანების შესაძენად.

— **დახმარების ანდექსი.** დამზღვევ კასამ დაადგინა: დახმარება ავადმყოფობის გამო მიეცეს კოლექტიური ხელშეკრულების ინდექსის მიხედვით. იქ სადაც კოლექტიური ხელშეკრულება არ არის, დახმარება მიეცეს მხოლოდ ყოველ თვე 15 რიცხვში, საბჭოთა მუშაკების კავშირს კი, დახმარება უნდა მიეცეს ყოველ თვეობით 10 რიცხვში.

— **შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟაში 3 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 594 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 7 უმუშ. სამუშაოზე გაიგზავნა 36 უმუშევარი.

— **ბინის გატეხვა და გაქურდვა.** მე-10-ე სამილიციო ნაწილში, ვალერიან კაკთაშვილის ბინა ბოროტ-მომქმედებს გაუტეხიათ და გაუტანიათ 4 მილიარდის ღირებული ნივთები.

— **ყაჩაღის შებყრობა.** მე-7-ე სამილიციო რაიონში შებყრობილ იქნა დღის 2 საათზე გეორქ დანიელოვის ლვინის სარდაფში, საქ. საგანგებო კომისიისაგან დევნილი ყაჩაღები დავით და იოსებ გოგიტაშვილები.

— **ხალიჩების მოპარვა.** 2 სექტემბერს, ღამით ბოროტმოქმედებს გაუტეხიათ სტეფანე თუმანოვის სახლის სარდაფი, საიდანაც წაღებულია 1 მილიარდის და 200 მილიონის ღირებული 6 ხალიჩა.

— **აფერისტები.** მე-2 სამილიციო რაიონში ორბელიანის ქ. № 5, 2 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მოქ. ტარიელ ხატელიშვილმა და შაქრო ტაბახმელაშვილმა წინასწარი განზრახვით, მოქ. თათეოზ სირუმიანცს გამოსტყუა 6 ცალი ოქროს 10 მან. და 18 ცალი ოქროს 5 მანეთიანი და ნაცვლად ამისა გადასცა ვითომდა 1.082,500,000 მან. გადაცემულ ორ კონვერტებში ფულის მაგივრად აღმოჩნდა უბრალო დაჭრილი ქაღალდები, რომლებსაც თითო პირი 4 მილიონამდე ჰქონდა დაფენილი ფულით. ბოროტ-მომქმედები შეიპყრეს, რომელთაც აღმოაჩნდათ ნაწილი ოქროს ფულისა. ბოროტ-მომქმედნი დანაშაულში გამოტყდნენ.

პარტიაში

ოთხშაბათს, სექტემბრის 5-ს საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი სხდომა ტფ. მე-2 ე სარაიონო კომიტეტის.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი.

უმუშევართა საყურადღებოდ.

6 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე დანიშნულია განმეორებითი სარეგისტრაციო კრება უმუშევართა. ყველა უმუშევარი ამხანაგი ვალდებულია გამოცხადდეს აღნიშნულ დღეს აღსარიცხავად; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამხანაგი, რომელიც არ გამოცხად-

---

შევიტან და ყველაზე ნაკლებ ფას უჩვენებ. ნუ გეშინიან, გამარჯვება ჩვენია“!

საჯარო ვაჭრობის დღეს სწორედ თორმეტ საათზე მიხა განცხადებით და დაბეჭდილ პაკეტით პირდაპირ კომისიის თავჯდომარესთან შეიჭრა და ხელში გადასცა, ასე რომ მდივანმა ვერ გაიგო. უკანასკნელი გიორგისთან ერთად დარწმუნებული, რომ ვაჭრობაში კონკურენტი არავინაა, დამშვიდებულნი უცდიდნენ ვაჭრობის შედეგს. წარმოიდგინეთ მათი გაშტერება, როდესაც თავმჯდომარემ გამოუცხადა მდივანს, რომ შემოტანილია განცხადება, სადაც გიორგი მყაყეშვილის ნაჩვენებ ფასზე ბევრით ნაკლებია აღნიშნულიო. ვაჭრობა უკვე დაიწყო და მდივანი რაღას გააწყობდა. ფოდრათი ნიკა ზაქიშვილს დარჩა.

გახარებულნი დაბრუნდნენ ნიკა და მიხა შინ. ბედშავებმა არ იცოდნენ თუ რა მოელოდათ.

გიორგი უმალ მიხვდა თუ ვისი წყალობით დაემართა ეს საქმე, კარგად იცოდა ნიკა თავად ვერ გაბედავდა ასეთ რამეს და ვერც მოახერხებდა, მაშასადამე სულ „იმ იმერელის“ საქმე იყო. „ეხლა კი მოგივლი, შე ლაწირაკო!“ დაიმუქრა გიორგი და მეორე დღესვე ბოქაულს ესტუმრა. უამბო რაც იცოდა მიხას შესახებ, ფაშპორტის ამბავიც და მისი თხოვნით გაგზავნილი დეპეშაც მოაგონა.

მეორე დღეს ის იყო ნიკა და მიხა სახლიდან გამოვიდნენ სამუშაოზე მიმავალნი, რომ წინ სამი „სტრაჟნიკი“ გადაეღობა. „აბა მოგვყევით ჩვენ“, უბრძანა უფროსმა და კონდახებით დაემუქრნენ.

— „ვაიმე, სად მიგყევართ?“ შესძახა ნიკამ.

— „ბოქაულთან“, იყო პასუხი.

იქვე ბოქაული „კანცელარიის“ კარებთან თავადი გიორგი დაუხვდათ. „ჰა, ფოდრაჩიკო და ადვოკატო, თუ ბიჭები ხართ, ეხლა უშველეთ თქვენ თავს. გაჩვენებთ ეხლა სეირს... არა შე უსინდისო“, მიუბრუნდა გიორგი ნიკას, შიმშილით კვდებოდი, საქმე გაგიჩინე, ლუკმა პური გიშოვნე და შენ კი ასე მიღალატე?.. აბა დავინახამ თუ რას გიშველის ეს შენი ადვოკატი და დამრიგებელი“...

ცალ-ცალკე დაამწყვდიეს ნიკა და მიხა. ნიკა იმდენი აწამეს, იმდენი სცემეს, რომ ბოლოს გამოსტეხეს ყველაფერში. მიხაც პასპორტის შესახებ უარს ვეღარ იტყოდა მხოლოდ თავის ვინაობას მაინც არ ამჟღავნებდა, მიუხედავად უწყალო ცემისა და ტანჯვისა. უმალ აცნობეს რკინის გზის სამართველოს „ფოდრაჩიკის“ ამბავი და გიორგიმ ადვილად მოახერხა კვლავ ფოდრათის აღება, მაგრამ ნიკა სჭირდებოდა. ამიტომ იმდენს ეცადა რომ ბოქაული დაიყოლია და საქმე ისე გამოაკეთეს ვითომ ვარლამას პასპორტი ნიკას დაეკარგა და მიხას ეს პასპორტი ეპოვოს. ნიკა გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ იგი კვლავ იმუშავებს გიორგისთან, მხოლოდ დაკლებულ ფასებში.. მიხა მისი ვინაობის გამოსარკვევად ტფილისში გადაგზავნეს, „ოხრანკის“ განკარგულებაში და ბევრი ძიების შემდეგ გამოაშკარავეს მისი ვინაობა. მიხა კვლავ ციმბირისაკენ გაამგზავრეს. ნიკა კი წინანდებურად გიორგის მორჩილი მუშა გახდა...

დღეს

კვირა დღეა. სოფელ კლდის ძირის მოედანზე, ეკლესიის წინ, მორთულ-მოკაზმული ხალხი ჭიანჭველასავით ირევა; დღეს დიდი მიტინგია დანიშნული. ქალაქიდან წარჩინებულ მოლაპარაკეებს მოელიან, დღეისთვისვე დანიშნულია ადგილობრივ „აღმასკომის არჩევნები.

მოედნის შუა ალაგას მაგიდაა ორატორებისათვის გამზადებული. აქა-იქ წითელი დროშები ფრიალებენ. გამოწკეპილი და მორთული „კომსომოლები“ დაფაცურობენ. სახეზე ყველას ცნობის მოყვარეობა აქვს აღბეჭდილი, ყველა მოლოდინშია.

— „ბიჭო, ამბობენ, გამოჩენილი მოლაპარაკე მოდისო“, გაისმის ერთს ალაგას.

— „ყველაზე ვინც დიდი კომინისტია, ის თურმე უნდა მოვიდესო“, უმტკიცებს ერთი გლეხი მეორეს.

მაგიდის ცოტა მოშორებით პატარა ჯგუფი დგას, აქ შეამჩნევთ მღვდლის ანაფორას, ორიოდე გახუნებულ „ჩერქესკას“, ყოფილ თავადებისას და აქვე დაინახამთ ჭაღარა მოსულს, ცოტათი მოხუცებულს და მოკუზულს ადგილობრივ თავადს გიორგი მყაყეშვილს. ცოტა მოშორებით აგრეთვე მოხუცებული მთლად გათეთრებული ნიკა ზაქიშვილი თავის მეზობელს ელაპარაკება.

— „ადამიანო, გადატრიალდა, გადაბრუნდა ქვეყანა. აბა შეხედე ჩვენ ყოფილ კნიაზ გიორგის, როგორ მოკუზულა? ეუბნება მეზობელი ნიკას, უწინ კაცი იქნებოდი და ქუდს არ მოუგლეჯდი, სალამს არ მისცემდი? ეხლა კი უკაცრაოთ პასუხია, ძაღლადაც არავინ აგდებს!“

— „მართლა და გადაბრუნდა ქვეყანა. გახსოვს რა მიყო მაგ გიორგიმ მე?“ მიუგო ნიკამ. „იმდენი დღეგრძელობა მე და ჩემ შვილებსა ჰქონდეთ, რაც მაგან ჩემი სისხლი და ოფლი დალია, მაგრამ რას იზამდი დრო მაგათი იყო... დღევანდელ ამბებს რომ ვხედავ სულ ის ადამიანი მაგონდება, გახსოვს ჩემთან რომ მუშაობდა, ვარლამას ვეძახდით, მაგ გიორგიმ კატორღაში არდააკარგვინა... ბიჭო, აბა ათი წლის ამბავია და ის ადამიანი მაშინ მარწმუნებდა, რომ აი მალე ჩვენ გავიმარჯვებთო და უტირებთ დედას მაგ კნიაზებსო... სუყველაფერი ისე დამიხატა, ისე ამიხსნა. აი რასაც დღეს მე და შენა ვხედავთ. მთავრობას ჩამოვაგდებთო, ძალა-უფლება ჩვენ ხელში ჩაგვივარდებაო... ერთი სიტყვით ყველა რაც დღესა ხედავ, იმან მაშინ იცოდა, ასე მოხდებაო... ე—ე, საწყალი, ვინ იცის კატორღაში სული დალია და ამ დროს ვერ მიაღწია, ვერა ნახა თუ როგორ გამართლდა მისი წინასწარმეტყველობა“...

„მოდიან, მოდიან!..“ გაისმა ძახილი და ყველამ თვალი შარა გზისაკენ მიიბრუნა, მოაგრიალებდა ავტომობილი და რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ავტომობილი სოფლის მოედანთან გაჩერდა. ავტომობილიდან ორი კაცი ჩამოხტა და მაგიდისაკენ გასწიეს ორთავემ.

ხალხმა გზა გაუხსნა. გაიხსნა მიტინგი, მაგიდაზე ავიდა ერთი მომსვლელთაგანი, უკვე ხანში შესული მთლად გათეთრებული იყო იგი. ხალხი მიყუჩდა. ორატორმა დაიწყო თავისი სიტყვა. მარტივი და გასაგები ენით განუმარტა მან ხალხს რევოლიუციის წარმომშობი მიზეზები, მისი მიზანი და მნიშვნელობა, დაუსურათა დღევანდელი მდგომარეობა, ახალი წყობილების ძირითადი თვისებანი, შეეხო საერთო პოლიტიკური მდგომარეობას და გაუთვალისწინა ახლო მომავალი.. შემდეგ გადავიდა დღიურ საკითხზე „აღმასკომის“ არჩევნებზე და თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „ამხანაგებო, მე განვმარტე აღმასკომის მნიშვნელობა და ჩემი სიტყვიდან ადვილად გამოიტანთ იმ დასკვნას თუ რაგვარი ხალხი უნდა აირჩიოთ ამ ორგანოში. მუშისა და გლეხის ინტერესებს ყველაზე უკეთესად თვით მუშა და გლეხი დაიცავს. ერიდეთ ისეთი ხალხის არჩევას ვინც გუშინ თქვენა გწიხლავდათ, თქვენ სისხლსა და ოფლს სწოვდა, თქვენი შრომით სარგებლობდა და დღეს კი მონანიების სახით მოდის თქვენთან და ერთობას გეფიცებათ. ნუ მოსტყუვდებით, გახსოვდეთ კარგად, რომ ცხვრის ტყავში გახვეული მგელი მაინც მგელია და ნათქვამია მგლის თავზე რამდენიც უნდა იკითხო სახარება, მგელს მაინც ციკან თხა არ ავიწყდებაო... შეიძლება ბევრს თქვენგან არ გახსოვდე, მაგრამ ზოგი კი მომიგონებს ერთ დროს აქ ვმუშაობდი, საფლავის ქვებსა ვთლიდი ვარლამას სახელით, აი თუ აქ არის ნიკა ზაქიშვილი, მას კარგად უნდა ახსოვდეს ვარლამა იგივე მიხა, არ დავავიწყდებოდი აგრეთვე თქვენს ყოფილ თავადს გიორგი მყაყეშვილს, რომლის წყალობით კატორღაში მეორედ ამოვყავი თავი, მე ეს გავიხსენე არა იმიტომ რომ ჩემს წარსულს ამ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, არამედ მიტომ რომ მაგალითით გიჩვენოთ თუ რაგვარი ხალხი უნდა აირჩიოთ და რაგვარი კი ახლოს არ მიაკაროთ თქვენს საქმეებს. ისეთი ადამიანი, როგორიც იყო და დარწმუნებული ვარ დარჩებოდა კიდევაც, როგორც მაგალითად ნიკა ზაქიშვილი სწორედ რომ ასარჩევი კაცია. იგი თქვენ ინტერესებს არასოდეს არ უტალატებს, პატიოსნობას უკუ არ აგდებს. ბევრი გაჭირვება და ტანჯვა გამოუცდია, იცის სოფლის ავი და კარგი... მეორე კი, რომელიც დავასახელე, რა თქმა უნდა ახლო მისაშვები არ არის. რამდენიც უნდა მოინანიოს ძველი ცოდვები, რამდენიც უნდა მოიკატუნოს თავი დარწმუნებული იყავით პირველ შემთხვევისთანავე გიღალატებთ, რადგანაც ჭეშმარიტად ნათქვამია: „კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს“-ო...

გიორგიმ ჩაღუნა თავი და გაპარვა დააპირა, ხალხში იმალებოდა; მთელმა ხალხმა კი მას მიაპყრა თვალი. გაფითრებული გიორგი შიშისგან კანკალობდა, ეძებდა გასავალს, მაგრამ თვალთ დაბნეულს ვერ ეპოვნა. მოჭკრა მას თვალი მიხამაც უმალ იცნო და გადასძახა: „მოქალაქე მყაყეშვილო, ნუ გეშინის, აქ შურის საძიებლად არ მოვსულვარ, წარსულ ცოდვებს არავინ მოგთხოვს... მხოლოდ ამიერიდან იყავით ფრთხილად“... გიორგიმ გასავალი ძლივს გამონახა, გაძვრა ხალხში და სწრაფ დასტოვა მოედანი, მიდის ქუჩა-ქუჩა და იგინება: „ეჰ, იმერლებო, ნეტა თქვენს ოხტაში როდის ამოვალ?! ღმერთო დიდებულო ერთი ნიკოლოზის ბოქაული თავის სტრაჟნიკებით გააჩინე ახლა და მერე თუნდა მომკალი.. ერთი ჩამოაგდონ ეგ ხოხონიკა იმერელი და მათრახებით სული ამოართონ... ახ, დედასა, სადაა ის დრო!.. გადაბრუნდა, დაინგრა დედა მიწა, მეორედ მოსვლაა“... გაბრაზებული დუდუნებდა ყოფილი თავადი...

იქ კი მოედანზე პირველ ორატორს, მეორე მოჰყვა, ილაპარაკეს აგრეთვე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. ბოლოს დაიწყო არჩევნები. საარჩევნო კომისიის წევრებმა ბევრი სთხოვეს მიხას დარჩენილიყო ცოტა ხანს მაინც, მაგრამ მიხას ეშურებოდა. ის იყო ავტომობილში ჯდებოდა, რომ ვიღაცის ხელი იგრძნო მხარზე, მიიხედა და ნიკა კი დაუხვდა წინ. გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ნიკას ცრემლიც კი მოერია, აღელდა და სიტყვას ვერ ახერხებდა, ბოლოს ძლივს წამოილუღლუღა: „შენი ჭირიმე მიხა, თუ გახსოვს ჩემი ქოხი აი აქვე ახლოსაა, გამაბედნიერე, ერთი წუთით მობრძანდით, ლუკმა გატეხე, ჩემი ოჯახიც გაახარე, ყველას ახსოვხარ... ნუ ითაკილებ, მომიგონე შენი ძველი ამხანაგი“...

— „ოხ, ნიკა, რა პასუხია“, კვლავ გადაეხვია მიხა: „შენ კი უარს ვერ გეტყვი, რაც უნდა მოხდეს, შენ ჭერ ქვეშ მაინც შემოვალ“... ხელი-ხელთ ჩაკიდებულებმა გასწიეს ნიკას სახლისაკენ“...

ი. გედევანიშვილი.

დება აღრიცხვაზედ გამორიცხული იქნება სიიდან.

(უმუშევართა რეგისტრაცია ყოველ კვირაში ხდება ერთხელ ხუთშაბათს, 12 საათზე დღისით).

კომ. მდივანი: **შ. იაშვილი.**

—

შაბათს, 8 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, საქ. მემ. სოც.-ფედ. ქალთა განყ. ოთახში (ლორის მელიქოვის 1) დანიშნულია პარტიულ ქალთა კრება. გასარჩევია ფრიად საინტერესო საკითხები.

წევრებს ევალებათ გამოცხადდენ აუცილებლათ აღნიშნულ დროზე.

—

შაბათს, ენკენისთვის 1-ლს, პარტ. ცენტრალურ ბიუროში შესდგა მე-4 რაიონ. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. **ხერ. ამაღლობელმა** შემდეგ თემაზე: **„გარდამავალი პერიოდი"**.

მომხსენებელი დაახლოვებით ამ თემაზე ამბობს შემდეგს: ყოველგვარი პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს ეპოქის გაგებიდან. ამ საკითხის გასაშუქებლად აქ ვერ შევეხებით, როგორც მრავალ სისტემას კომუნისტურ და სოციალისტურს, ისე მეტაფიზიკურ მოაზროვნეთ, რომელნიც ფაუსტური სულის ანალიზით იძლევიან თანამედროვე ევროპიული ცივილიზაციის დაღუპვის დებულებას, როგორც მაგ. შპენგლერი. ისტორიული ეპოქის, პერიოდის გაგებისათვის, საჭიროა საზოგადოების გაგება. ყოველი საზოგადოება პირონულ-საზოგადოებრივ ძალთა ორმხრივობაა. ეკონომიკა ერთი დარგი სოციალი ცხოვრების. გადავიდეთ კერძოდ მარქსის სკოლის დახასიათებაზედ.

მარქსის სკოლის გარდა არის გარდამავალ პერიოდის გაგებისათვის მთელი რიგი სისტემები, რომელნიც ყველა მარქსისტული იერით გამოდიან. ამიტომ ვერ დაუჯერებთ ვერც ერთ მარქსისტს. არ გამოგვადგება აქ არც პლეხანოვი, არც ლენინი, არც კაუცკი, არც ჰილფერდინგი, არც ბუხარინი. მარქსის გაგებისათვის საჭიროა თვით მარქსი და შემდეგ მეცნიერული შრომები მის შესახებ.

მომხსენებელი ახასიათებს გარდამავალი პერიოდის გაგებას მარქს-ენგელსის მიერ, გამოდის ფასეულობის შრომის თეორიიდან და ხელფასის თეორიის საფუძვლებიდან ამ საკითხის გარჩევის დროს. „კომუნისტური მანიფესტისა" და „კაპიტალის" კონცეპციათა გარჩევის შემდეგ, იგი ჩერდება ცნობილ მეცნიერთა განმარტებებზედ მარქსის დოქტრინისა (შტამლერი, ზომბარტი, ჟიდი, დილი, ტუგან-ბარანოვსკი და სხ.).

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს მეორე და მესამე ინტერნაციონალის გაგებას გარდამავალი პერიოდისას.

ვრცლად ეხება იმპერიალიზმის პრობლემას. მოყავს იმპერიალიზმის სხვა და სხვა ტიპები. ახასიათებს ფინანსიური კაპიტალის ტენდენციებს, აღნიშნავს ამ ნიადაგზე წარმოშობილ ურთიერთობას აღმოსავლეთსა და დასავლეთში (სუსტი განვითარება ინგლისსა და ამერიკაში სოციალისტური მოძრაობის და რევოლიუციონური მოძრაობანი უკანასკნელ ხანაში აზიურ ქვეყნებში მაგ. ჩინეთი, სპარსეთი, ოსმალეთი, ინდოეთი, რუსეთი და სხ.)

მოხსენების მეორე ნაწილში მომხსენებელი არკვევს რუსეთის მეურნეობის სპეციფიურ თვისებებს, რუსეთის რევოლიუციის ფაქტორებს, გარდამავალი პერიოდის ბუნებას და მის პრაქტიკულ სახეს მიმდინარე რევოლიუციაში. ვრცლად ეხება პარტიის მსოფლმხედველობის მიერ გარდამავალი პერიოდის გაგებას. აღნიშნავს თვალსაზრისის მისაღებლობას და მიღებას სინამდვილისაგან. ჩერდება კლასთა ბრძოლის პრინციპისა და ეროვნული ბრძოლის როლზედ თანამედროვე რევოლიუციაში და სხ. და სხ.

მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო თავისი ანალიზით და მოხდენილი თავისი ფორმით. მოხსენება გაგრძელდა 2 საათზედ მეტს, იყო შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დასასრულ კრებამ დაამტკიცა კანდიდატთა სია და გამოსთქვა სურვილი სისტემატიური მაცადინობის დაწყების შესახებ.

ა. ხი—ძე.

—

ბათომი. მემარცხენე სოციალ ფედერალიზმი აჭარისტანის სინამდვილეში განსაკუთრებულ პირობების პერსპექტივების წინაშე წარსდგა.

ცხოვრების ძლიერ გაქანების ქვეშ აგმინდა ყველა ჯურის პოლიტიკან—ოპპორტიუნისტები, დაიმსხვრა დახავსებული და გაყალბებული თეორიები და მასთან ერთად გაჰქრა ის პოლიტიკური აბდაუბდა და გაუგებრობა, რომელმაც ჩვენი პარტია სხვა პარტიების საზიზღარ ინსინიუაციების და პროვოკაციის ობიექტათ გამოიყენა გააფთრებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ ყოველი ფრონტიდან, ჩვენ უფრო გვამხნევებს; გვწამს ბურუსი საბოლოოდ გაიფანტება და ჩვენი პოლიტიკური ფიზიონომია გაბრწყინდება სიმართლის შუქზედ.

აი სწორეთ პარტიის ჩამოყალიბების ამ მომენტს უნდა დაეკავშიროს მუშაობის ის პროცესსი, რომელიც პროლოგია ბათომის საოლქო კომიტეტისა.

გამოცდილ პარტიულ მუშაკთა კადრის უყოლობა და პარტიის წევრთა დაქსაქსულობა, რომელთაც ოდნავადაც არ ახასიათებდა ორგანიზაციულ სალტებში გამობრძმედელი დისციპლინა და ორგანიზაციული შეკავშირების ტენდენცია, აი პირობები რომელნიც გარდუვალ ზღუდეებათ აემართენ საინციატივო ჯგუფს, რომელმაც თავს იდო მძიმე და პასუხის მგებელი მოვალეობა პარტიულ ორგანიზაციის ნიადაგის მომზადების და ჩამოყალიბების.

საინციატივო ჯგუფი ძველი პარტიული მუშაკებისა იყო შემდეგი შემადგენლობით ამხ. ერასტი სუპატაშვილი, ადგილობრივ ფ.-ტ. კანტორის გამგე კ. კაჭხიძე და ვლ. გეწაძე, მარტის დამლევ რიცხვებიდან სწარმოებს წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა აპრილამდე, რა დროსაც საინციატივო ჯგუფი დროებითი კომიტეტის სახით იკავებს დამოუკიდებლობას კომპარტიის ადგილობრივ პარტ-კომთან, ახდენს წევრთა და თანამოაზრეთა აღრიცხვას, იძენს კომიტეტისათვის ბინას, კრებს შემოწირულებებს, აწესრიგებს გაზეთის ფურცლებს და რაც უმთავრესია, ემზადება მუდმივ საოლქო კომიტეტის არჩევნებისათვის.

30 ივლისს მოწვეულ იქნა პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო კრება, მოსმენილ იქნა ძველი კომიტეტის მუშაობის ანგარიშები, რა საგანზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. სუპატაშვილი, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „საზოგადო კრებამ, მოისმინა რა დრ. კომიტეტის წევრის ამხ. ერ. სუპატაშვილის მოხსენება ამავე კომიტეტის მუშაობის შესახებ სცნო მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლათ და სიამოვნებით აღნიშნავს იმ უანგარო შრომას, რომელიც გაწეულ იქნა ზემომოხსენებულ პირთა მიერ, რისი წყალობით დაძლეულ იქნა ყველა დაბრკოლებანი და ორგანიზაციულად დაყენებული ბრწყინვალე პერსპექტივების წინაშე უცხადებს მათ ღრმა მადლობას. ამის შემდეგ არჩეულ იქნა აჭარისტანის საოლქო კომიტეტი შემდეგი ხუთი ამხანაგისაგან: კონსტანტინე კაჭხიძე, ვლ. გეწაძე, ერასტი სუპატაშვილი, გიორგი მასხარაშვილი, დვალაძე და მათ კანდიდატათ ამხ. ტაბიძე.

ამრიგათ დასრულებული იქნა ის მძიმე საალმშენებლო მუშაობა, რომლის ინიციატივა პირველათ აიღო თავზე ამხ. ერასტი სუპატაშვილმა და თავისი მაგალითით დაგვაყენა მომხდარი ფაქტის წინაშე.

დღეს კი საოლქო კომიტეტი სდგას მრავალ სადღეისო და საჭირბოროტო ამოცანების წინაშე, როგორიცაა, მუშაობის სიმძიმის გადატანა მასებში და პერიფერიებში, საჯარო ლექციების მოწყობა და სხვა ასეთი, რომლის სწრაფ და მიზან შეწონილ გატარებაში ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა შეგვიწყოს ხელი.

—

ღია წერილი

ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმს და მის თავმჯდომარეს ლ. სუხიშვილს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს გაზეთებში ის უბედური მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდა საბურთალოს მშრომელი და უღარიბესი ხალხი ორი წლის წინედ გავრცელებულ ავადმყოფობის-მალარიის გამო. ჩვენ გაზ. „ტრიბუნის" № 557 ნომერში დავასახელეთ ის კონკრეტიული ღონისძიებანი, რომელიც პროლეტარულ უბანს გადაარჩენს განადგურება-გადაშენებას და შესაძლებლობას მისცემს პრაქტიკული საქმიანობის გაჩაღებით, აღმშენებლობითი მუშაობით, დაფრთხალ საზოგადოებას ჩაბმას დანგრეულ, ჭაობად ქცეულ საბურთალოს გადახალისებაში უკეთესს მომავლისათვის ჩააბამს ჩვენი ხმა რჩება ამაოდ და საბურთალო ინგრევა. ჩვენი, საბურთალოს მოსახლეობის სურვილია, რომ როგორმე გადავარჩინოთ საბურთალო დანგრევას.

ამ ორ წელში დაინგრა 100-ზე მეტი სახლი, მთელი ნაწილი უბნებისა მიწასთან გასწორდა, გეგონებათ მიწის ძვრა—ყოფილაო. საზოგადოებამ აირჩია შარშან ამ სახლების დანგრევის ასაკრძალველად მეთვალყურე კომიტეტი, რომელიც მიუხედავად ათასგვარ ბრძოლისა და ოქმის შედგენის დამნგრეველთა წინააღმდეგ, მიზანს ვერ მიაღწია და დაიშალა. ამ ხნის განმავლობაში არ დასჯილა სათანადოთ რომელიმე დამნგრეველი, რომელიც ისე გახშირდნენ საბურთალოზე და ხელი მოიობეს საბურთალოს ხალხის უბედურობით, რომ აღარავის ერიდებიან, ათასგვარ კომბინაციებით ზოგი იღებენ ნებართვას სახლების დასანგრევად, ზოგი უნებართვოთ ღამე, ქურდულად მიანგრევენ სახლს და შემდეგ შეუძლებელი ხდება სახლის დანგრევის შეჩერება. ამ ორი დღის წინედ ვინმე თათარი შეუდგა ყოფილ ქაბინის სახლის დანგრევას, სათანადო ნებართვაც აუღია; ეს სახლი მთელ საბურთალოში საუკეთესოთ ითვლება, ასეთი სახლი ორი-სამია ამ რაიონში და მისი დანგრევა მალაკნების მთელ კვარტალს დაამახინჯებს და ისედაც გულაცრუებული ხალხი ამ უბანსაც მიანგრევს. მთელი საზოგადოება აღელვებულია და ამბობს, თუ დანგრევაა, მაშ ყველამ დავანგრიოთო. ამის შემდეგ არავითარი უფლება გვექნება შევებრძოლოთ ამ მოვლენას, თურმე მესამე სახლს ანგრევს.

ალმასკომმა უნდა [illegible] ბის საბურთალოზე სრულებით და დამნაშავენი [illegible] ტიკად დასაჯოს. [illegible] რამდენიმე თვეში საბურთალო აღარ იქნება. ს როა ფიცხელ ჭაობების დაშრობაც და სხ. ალმშე ლობითი მუშაობის დაწყება გაგვხადეთ ღირსი რადღებისა.

გ. მაღრაძე

კურორტებში

აგარაკი ბახმარო

აგარაკ ბახმაროს სეზონი დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

სანამ რაიმეს ვიტყოდეთ წლევანდელ მუშაობის შესახებ, საჭიროა პატარა ექსკურსია მოვახდინოთ წარსულის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ამ ღირსშესანიშნავ კურორტზე.

ბახმარო საქართველოს არც ერთ აგარაკს არ ჩამოუვარდება ჰაერის სისაღით, მდებარეობით და საერთოდ ყველა იმ თვისებით, რაც აუცილებელია აგარაკისათვის და რაც ყველაზედ ღირსშესანიშნავია გურიის ციებ-ცხელებით შეწუხებულ მშრომელთათვის. ბახმარო ერთად ერთი „სულის მოსათქმელია".

ბახმარო ძალიან ახალგაზრდა აგარაკია.

სწორედ ამ ოცდაათი წლის წინათ, იმ ადგილას, სადაც დღეს სიცოცხლე ძალუმათ სჩქეფს და აუარებელი ხალხი ფუსფუსებს, მხოლოდ ცნობილ ექიმ დავიდიანის, ძმათა ჭეიშვილების და ქიქოძის სახელები ობლად გამოიყურებოდნენ.

არც ერთ მთავრობას ამ აგარაკისათვის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია. ძალიან დაგვიანებით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ბახმარო იქმნა ცნობილი კურორტად. ძველმა რეჟიმმა ეს „დე-ურე"-ც კი ვერ აღირსა ბახმაროს. მე ამ სიტყვებით არ მინდა ვინმეს ქება უძღვნა, არამედ მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად მთავრობათა უყურადღებობისა, ბახმარო იზრდებოდა, ხალხი თითქოს ინსტიქტიურათ გრძნობდა ამ აგარაკის დიდ მნიშვნელობას.

ბახმაროზე მოაგარაკეთა რიცხვი ყოველ წლობით იზრდებოდა. სახლების აშენება ძალიან დიდი სისწრაფით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ბევრი სახლი 1906 წლიდან—1914 წლამდე აშენდა. მას შემდეგ შეჩერდა ამ მიმართულებით მუშაობა, მიზეზები ყველასათვის ნათელია, ამაზედ არაფერს ვიტყვი. ბინის კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით წელს იჩინა თავი, ყველაზედ საჭირბოროტო საკითხათ შეიძლება ჩაითვალოს და ამ მხრივ ძალიან დიდი მუშაობაა საჭირო.

როგორც ზემოდ აღვნიშნე 1914 წლიდან არაფერი გაკეთებულა. ბახმაროზე დღეს 285 სახლია (მხედველობაში მაქვს აგრეთვე ე. წ. პატარა ბახმარო 20 სახლით და ბაისურა 32 სახლით).

რამ გამოიწვია ამ აგარაკის ასეთი გაზრდა შედარებით პატარა ხნის განმავლობაში?

როგორც ვსთქვით უმთავრესი აქ იყო ჰაერის სისაღე, რაშიაც თვითეული მოაგარაკე რწმუნდებოდა და ის გარემოებაც, რომ გურიის ღარიბ ხალხს მხოლოდ აქ შეეძლო თავი შეეფარებინა, ხელს უწყობდა აგარაკის ზრდას.

აგარაკი ბახმარო ზღვის დონედან, ცენტ სადაც თეატრია აგებული, 901 საჟენის სიმაღ ზეა; არის უფრო მაღალი ადგილებიც.

ბახმარო ყოველ მხრივ შემოზღუდულია მაღა ლი მთებით. ასე რომ აგარაკი დიდი ქარის დაფარულია. ყველაზე მაღალი ამ მთებში აღმო ლეთით არის—აჭარა-გურიის მთების მწვერვ „საყორნიად" წოდებული. ყველაზედ დაბალი სამხრეთით ეფარება ბახმაროს. აგარაკი სამხ აღმოსავლეთით არის დაქანებული და მზე მთ დღე ადგება აგარაკის უმეტეს ნაწილს.

ბახმაროს გარშემორტყმული მთები კარგ ნახაობას წარმოადგენდნენ.—შუამდე დაფარ ნაძვით და ფიჭვით, წვეროები მწვანით შემოს და მთების ჩაზნექილ ნაწილებში სადაც მზე უდგება, მუდმივი თოვლი. განსაკუთრებით ამ გილს ცივი და ჩქარი მდინარე ბახვის წყალი მაროს ორ არა თანასწორ ნაწილად ჰყოფს.

ჰავა უფრო ხშირად გრილია (ხან საშინ ცივა) ჰაერი გაჟღენთილი ნაძვის და ფიჭვის სუ ბახმარო მდიდარია ანკარა და ცივი წყაროებ არ მგონია საქართველოს რომელიმე კუთხეში ი ისეთი ცივი და წმინდა წყაროს წყალი, როგო ე. წ. „გურიელის საცივია".

ფიჭვისა და ნაძვის ხის მასალისაგან გაკე ბული სახლები მომაღლო ბოძებზეა „წარმოდგ ლი" გურულ ყაიდაზე.

ბუნების სიმშვენიერე სალ ჰაერთან ერ კარგ გავლენას ახდენს ავადმყოფზე. პრო მოსეშვილის და გოგიტიძის გამოკვლევით ბახ როს ჰავა განსაკუთრებით მარგებალია ფილტვ ავადმყოფობისათვის.

მაგრამ სანამ ამ ოაზისს მიაღწევდეს ავ მყოფი სწორედ „ბეწვის ხიდი" უნდა გაიაროს.

დღეს არც ერთი ხეირიანი გზა არ არსებ ბახმაროზე მისასვლელი.

ბახმაროს გზის საკითხი მუდამ საკით რჩებოდა. ამ დიდი საქმის მოგვარებას მუდამ ხ უშლიდა უფულობა და კუთხური ნაციონალი თუ შეიძლება ასე ითქვას. ძველი მთავრობის ხებით სრულიად მამასახლისების ინიციატი იყო დამოკიდებული გზის ავ-კარგიანობა.

გზას ყველა თავისაკენ „ეწიწებოდა" და ლები იქსაქსებოდა.

როგორია გზები, ამაზე შემდეგ.

ო. ჭეიშვილი-

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში საყოველთაოდ აცხადებს:

1) თანახმად ა.-კ. ფინსახკომის მიერ 1923 წ. 20 აპრილს დამტკიცებულ სახელმწიფო სარეწავი გადასახადის აკრეფის დროებითი წესებისა ა. წ. 1-ლ სექტემბერს დამთავრდა რაიონების საგადასახადო კომისიებში, სარეწაო საპროცენტო გადასახადის რაოდენობის გამონგარიშება მოგებიდან, რომელიც უნდა გადაიხადონ სავაჭრო და სამრეწველო წარმოებებმა და პირადად სარეწაო საქმიანობის პირებმა (მუხ. 75) ა. წ. ივნის-სექტემბრის საგადასახადო პერიოდის და გადასახადის ფურცლები გაიგზავნა მილიციაში გადამხდელებისათვის ჩასაბარებლად (მუხ. 88). თუ გადამხდელები არ მიიღებენ ასეთ ფურცლებს, იმათ უნდა გაიგონ დაწესებულ გადასახადის რაოდენობის შესახებ სათანადო ფინინსპექტორებთან წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით. ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, სარეწაო საპროცენტო გადასახადის გადამხდელთ შეუძლიანთ შეიტანონ რაიონის საგადასახადო კომისიაში საპასუხოები (მუხ. 89). სარეწაო საპროცენტო გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი არა უგვიანეს ა. წ. 1-ლ ოქტომბრისა, რის შემდეგ გადასახადის ჯამზე, რომელიც ჩათვლილი იქნება ნარჩენათ, ერიცხება საურავი დაწესებულ რაოდენობისა (მუხ. 97 და განცხადება გაზეთ „კომუნისტ"-ის მე-155 №-ში საურავის რაოდენობის შესახებ).

2) მომავალ საბიუჯეტო წლის პირველ ნახევრისათვის 1923 წ. 1-ლ ოქტომბრიდან 1924 წლის 31 მარტამდე სარეწაო მოწმობები სავაჭრო და სამრეწველო წარმოებათა შენახვისათვის და პირად სარეწაო საქმიანობის წარმოებისათვის (მუხ. 4 და განცხადება გაზეთ „კომუნისტ"-ის 118 და 130 № №-ში, რომლებშიაც დაბეჭდილია წარმოებათა და საქმიანობის სია) უნდა აღებული იქნეს წინასწარ აღნიშნულ ნახევარ წლის (1-ლ ოქტომბერი) დასაწყისამდე, ა. წ. სექტემბრის თვის განმავლობაში, რესპუბლიკის ხაზინებში, წარმოებათა ადგილმდებარეობის ან პირად სარეწაო საქმიანობის წარმოების მიხედვით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დამნაშავენი ძირითადი სარეწაო გადასახადის წესების დარღვევისათვის იქნებიან დაჯარიმებულნი 98—103 მუხ. მუხ. დაწესებულ რაოდენობით. წარმოებათა მეპატრონენი და პირადი სარეწაო საქმიანობის პირნი, რომლებმაც უნდა გადიხადონ დამატებითი სარეწაო გადასახადი, მოვალენი არიან 1924 წლის 1-ლ თებერვლისათვის შეიტანონ სათანადო საგადასახადო კომისიებში განცხადებები დაწესებულ ფორმით (მუხ. 78) წინა ნახევარ წლის ბრუნვის და მოგების ჯამის შესახებ.

3 თანახმად ა.-კ. ფინსახკომის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულ იყო „ზარია ვოსტოკა" გაზეთის მე-196 №-ში სახელმწიფო ტრესტების, სინდიკატების, სააქციონერო და შერეულ საზოგადოებების, საკრედიტო დაწესებულებების და კოოპერატიული გაერთიანებათა საწარმოონი, რომლებიც წესდების ძალით ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ ანგარიშები თავიანთ ოპერაციების შესახებ ან გაუგზავნონ დასამტკიცებლად კუთვნილებისამებრ, უნდა წარადგინონ ამიერ-კავკასიის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს გადასახადთა განყოფილებაში დროებითი წესების მე-8 მუხლში ნათქვამი ანგარიშები არა უგვიანეს 1923 წლის 1-ლ ოქტომბრისა. თუ აღნიშნულ დროისათვის არ იქნება წარდგენილი ანგარიშები, ყველა ზევით ჩამოთვლილი საწარმოონი იქნებიან დაჯარიმებულნი დროებით წესების მე-14 მუხლით. აღნიშნული დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის შესახებ, ეხება ზევით ნაჩვენებ წარმოებებს, რომლების გამგეობა იმყოფება საქართველოს ფარგლებში და აგრეთვე რ. ს. ფ. ს, რ. და უცხოეთის ანგარიშვალდებულ წარმოებათა ყველა ფილიალებს, რომლების მთავარი კანტორები და სააგენტოები იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.

ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

გადასახადთა განყოფილების მმართველის მოადგილე **ბეზირგანიშვილი.**